



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
Construction engineering and management

ფაკულტეტი

სამშენებლო
Civil Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი მურმან ბაქრაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის მაგისტრი Master of Construction Engineering <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.</p> <p>სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;</p> <p>აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).</p>

პროგრამის აღწერა

სწავლის ხანგრძლივობა:

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით (4 სემესტრი)

სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლო (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 5 – სასესიო (შუასემესტრული, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტს ითვსება არანაკლებ 120 (ECTS) კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო ასევე კვლევით კომპონენტს: სასწავლო კომპონენტი - 90 (ECTS) კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 30 (ECTS) კრედიტი;

პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს:

1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს და წინა სამაგისტრო პრაქტიკას: 90 (ECTS) კრედიტი;

2. კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი):

კვლევითი კომპონენტი არის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს წინასწარ შერჩეული თემატიკის ირგვლივ ჩასატარებელ კვლევით სამუშაოებს. იგი მიმართულია სტუდენტის უნარის განვითარებაზე, დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაზე. კვლევითი კომპონენტის დამამთავრებელი ეტაპი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას, შესაბამის კომისიაზე წარდგენას და დაცვას. /

პროგრამის მიზანი

ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების, სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი, მშენებლობის სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური მენეჯერები.

1: შესძინოს კურსდამთავრებულებს ახალი ინოვაციური მიდგომებით პროექტის მომზადების, სამშენებლო ბიზნეს-პროცესების დაგეგმვისა და წარმართვის, კოორდინირებისა და მონიტორინგის, სამშენებლო კომპანიის ცალკეული სამეურნეო რგოლის მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტზე გათვლილი, ეფექტიანი გაძღოლის პრაქტიკული უნარები;

2: შესძინოს კურსდამთავრებულებს შენობების აგების, მონტაჟისა და აღჭურვის, საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტების პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დამყარებული ცოდნა.

3: შესძინოს კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, აანალიზებს და აფასებს სამშენებლო პროდუქტის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული და ინდუსტრიული შენობების) აგების და აღჭურვის უახლეს ტექნოლოგიებს;
2. სიღრმისეულად აანალიზებს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული დასახლებების დონეზე ტერიტორიების გამოყენების, მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების

ჰარმონიზაციას;

3. ანალიზებს კომპანიის მენეჯმენტის მიერ სამშენებლო ბიზნესის რეგულირებასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტების დადებით ან უარყოფით მხარეებს.
4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში განიხილავს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციას და ნაგებობების აგების და შენარჩუნების უახლესი ტექნოლოგიების სისტემური ცოდნის გამოყენებით ახდენს რთული (კომპლექსური) სამშენებლო პროცესების დამოუკიდებლად მართვას.
5. სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნით ადგენს სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების წარმართვის და ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებს; კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით სწორად არჩევს კაპიტალური დაზანდებების დაფინანსების წყაროებს და სამშენებლო სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის;
6. რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებით, ახდენს ახალი იდეების ფორმულირებას, მენეჯერული უნარებით და საინჟინრო პრობლემების გადაჭრის უახლესი მეთოდებით, გეგმავს და დამოუკიდებლად ახორციელებს საინვესტიციო - სამშენებლო პროექტებს;
7. რელევანტური მენეჯერული სტრატეგიების ცოდნით და ეფექტური კომუნიკაციით, მართავს მულტიდისციპლინურ გუნდს და იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.
8. აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარადგენს საკუთარ არგუმენტებს და დასკვნებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროში, როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტების აუდიტორიის წინაშე;
9. დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარი სწავლის გაგრძელების შემდგომ მიმართულებებს და წარმართავს მას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში (Brain Storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, წერითი მუშაობა, ლაბორატორიული აქტივობა, პრაქტიკული აქტივობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი

მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.** შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, აგრეთვე განცხადება **სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების** თხოვნით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_dan5_181119_SD.pdf

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mart_inst_18.1119_SD.pdf

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: shorturl.at/lsPW7

დასაქმების სფერო

მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას:

- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.);
- მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის ზედამხედველობისა და კეთილმოწყობის სამსახურებში;
- სახელმწიფო და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (სამშენებლო კომპანიები და კორპორაციები, საინჟინრო საკონსულტაციო, საზედამხედველო და საინსპექციო ფირმები, სამთავრობო სააგენტოები, მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული, საზედამხედველო და ურბანული განვითარების სამსახურები. სადაზღვევო და საშუამავლო-სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები);
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო სექტორში;
- საგადასახადო და საფინანსო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 31

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
---	---------------------	--------------

	საგანი		I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
სასწავლო კომპონენტი						
1.	1.1 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	5			
	1.2 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	არ აქვს				
	1.3 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	არ აქვს				
	1.4 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	არ აქვს				
2.	საინჟინრო და სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	არ აქვს	5			
3.	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში	არ აქვს	5			
4.	4.1. არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	არ აქვს	5			
	4.2. საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი					
5.	5.1. საგადასახადო პოლიტიკა	არ აქვს	5			
	5.2. საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები					
	5.3. კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები					
6.	სამშენებლო - საინვესტიციო პროექტების მართვა	არ აქვს	5			
7.	7.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს		5		
	7.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)					
	7.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)					
	7.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
8.	სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში		5		
9.	9.1. ბიზნეს-გარემო სამშენებლო საქმიანობისათვის	არ აქვს		5		
	9.2. სტრატეგიული მენეჯმენტი					
	9.3 ადამიანური რესურსების მენეჯმენტი					
10.	მონოლითური მშენებლობის ტექნოლოგია	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში		5		
11.	რისკების ინჟინერია მშენებლობაში	არ აქვს		5		

12.						
12.	სამშენებლო ბიზნეს პროცესების და ოპერაციების მენეჯმენტი	სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების მართვა		5		
13.	13.1. ხარისხის და უსაფრთხოების მენეჯმენტი მშენებლობაში	სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების მართვა		5		
	13.2. ლოგისტიკა	სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების მართვა				
14.	14.1. მშენებლობის ექსპერტიზა	სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები		5		
	14.2. ინოვაციები მშენებლობაში	არ აქვს				
15.	უძრავი ქონების ბაზრის მარკეტინგული კვლევა	არ აქვს		5		
16.	შენობა-ნაგებობები და კომბინირებული სისტემები	სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები		5		
17.	შენობების და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა და მართვა	მონოლითური მშენებლობის ტექნოლოგია		5		
18.	წინა სამაგისტრო პრაქტიკა	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში; სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების მართვა; სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები; მონოლითური მშენებლობის ტექნოლოგია; სამშენებლო ბიზნეს პროცესების და ოპერაციების მენეჯმენტი		5		
კვლევითი კომპონენტი						
19	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა					30
			სემესტრში:	30	30	30
			წელიწადში:	60	60	
			სულ:	120		

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო	სასწავლო უბანი	საათი
---	----------	----------------	-------

	კურსის კოდი		ESTS კრედიტი/საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსაგნებელი გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	LEH16312G3-LP	1.1 საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15	30					2	2	76
	LEH16612G3-LP	1.2. საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)										
	LEH16412G3-LP	1.3. საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)										
	LEH16512G3-LP	1.4. საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა)										
2.	AAC41201G3-LS	საინჟინრო და სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
3.	AAC31301G3-LS	თანამედროვე საშენი მასალები და სისტემები მშენებლობაში	5/125	30	15					1	1	78
4.	LEPAC06GA1-LS	4.1. არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	5/125	30	15					1	1	78
	BUA38801G3-LP	4.2. საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	5/125	30	15					1	1	78
5.	BUA14501G1-LS	5.1. საგადასახადო პოლიტიკა	5/125	15	30					1	1	78
	BUA14401G1-LP	5.2. საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები		15	30					1	1	78
	BUA21201G2-LP	5.3. კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები		15	30					1	1	78
6.	BUA38701G3-LS	სამშენებლო - საინვესტიციო პროექტების მართვა	5/125	15	30					1	1	78
7.	LEH12512G1-L	7.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15	30					2	2	76
	LEH12312G1-LP	7.2. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)										
	LEH12712G1-LP	7.3. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)										
	LEH12912G1-LP	7.4. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)										
8.	AAC31701G3-LS	სპეციალური სამშენებლო კონსტრუქციები	5/125	15	30					1	1	78

9.	AAC31201G3-LS	9.1. ბიზნეს-გარემო სამშენებლო საქმიანობისათვის	5/125	15	30					1	1	78
	BUA38901G3-LS	9.2. სტრატეგიული მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
	BUA38501G3-LS	9.3 ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78
10.	AAC31501G3-LS	მონოლითური მშენებლობის ტექნოლოგია	5/125	15	30					1	1	78
11.	AAC31601G3-LSP	რისკების ინჟინერია მშენებლობაში	5/125	15	15	15				1	1	78
12.	BUA38601G3-LP	სამშენებლო ბიზნეს პროცესების და ოპერაციების მენეჯმენტი	5/125	15		30				1	1	78
13.	HHS20501G2-LS	13.1. ხარისხის და უსაფრთხოების მენეჯმენტი მშენებლობაში	5/125	30	15					1		78
	TRS14701G1-LS	13.2. ლოგისტიკა	5/125	30	15					1	1	78
14.	AAC85701G1-LP	14.1. მშენებლობის ექსპერტიზა	5/125	15		30				1	1	78
	AAC31401G3-LP	14.2. ინოვაციები მშენებლობაში		15		30				1	1	78
15.	BUA57401G1-LS	უძრავი ქონების ბაზრის მარკეტინგული კვლევა	5/125	15	30					1	1	78
16.	AAC31801G3-LS	შენობა-ნაგებობები და კომბინირებული სისტემები	5/125	15	30					1	1	78
17.	AAC47101G3-LP	შენობების და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა და მართვა	5/125	15		30				1	1	78
18.	AAC31901G3-R	წინა სამაგისტრო პრაქტიკა	5/125					60			1	64

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მურმან ბაქრაძე

სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მარინა ჯავახიშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გვიშანი

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი № 3
10.02.2016

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

დავით მახვილაძე

მოდირიგირებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N1. 24.03.2023 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გვიშანი